

# ეროვნული ხელისუფლების 419 დღე

ავტორ-შემდგენლები:

გიორგი არქანია, გიგი გიოშვილი,  
გიორგი ჯავახიშვილი, გიორგი ბუცხრიკიძე

სამეცნიერო რედაქტორი

დიმიტრი შველიძე



გამომცემლობა  
არტანუჯი



უახლესი ისტორიის  
ცენტრი

რედაქტორები  
ნათო გორდელაძე  
ზვიად კვარაცხელია

დამკაბადონებელი  
ლიკა სხირტლაძე

გარეკანის დიზაინერი  
თეონა ჭანიშვილი

*წიგნში გამოყენებულია ჯემალ კასრაძისა და  
საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ფოტოები*

© უახლესი ისტორიის ცენტრი, 2019.

© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2019.



## 1990 წლის 14 ნოემბერი, ოთხშაბათი

10:00 საათზე მუშაობას შეუდგა საქართველოს ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესია. ახალ დეპუტატებთან ერთად სესიაზე მინვეულნი იყვნენ 28 ოქტომბრის არჩევნების მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიისა და ბლოკის ხელმძღვანელები.

სესია დაიწყო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უნმინდესი და უნეტარესი ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. მან ახალ უზენაეს საბჭოს საჩუქრად უძღვნა ბიბლია და იერუსალიმიდან ჩამობრძანებული „აღდგომის“ ხატი. „დღეს არის ისტორიული დღე, რომელიც განაპირობებს ჩვენს მომავალს“ – ასე დაიწყო თავისი გამოსვლა პატრიარქმა.

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს თავისუფლებისა და დამოკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას.

სესია გახსნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ჟორდანიამ, რომელმაც შეკრებილებს მრავალპარტიული არჩევების შედეგები გააცნო.

სესიამ აირჩია ხმის დამთვლელი კომისია: ვახტანგ ჭითავა (თავმჯდომარე), მანანა ძოძუაშვილი, ზვიად ძიძიგური, ზურაბ გიგოლაშვილი, ვიტალი ჯაში, გურამ მაქაცარი, ვაჟა აბაკელია, გურამ ქაშაკაშვილი, გურამ პაპუნაშვილი; დაამტკიცა უზენაესი საბჭოს სხდომების დროებითი რეგლამენტი; აირჩიეს სამდივნოს შემადგენლობა: ალექო ქობულაშვილი (თავმჯდომარე), ეთერ ყაველაშვილი, მანანა გაბაშვილი, ლოვარდ ტუხაშვილი, თეიმურაზ ჯანელიძე, ფოტი ჩიტლოვი, ნუგზარ მამალაძე, მერაბ ბალარჯიშვილი და ბეჟან აბესაძე; აირჩიეს სარედაქციო კომისიის შემადგენლობა: ამირან კალაძე (თავმჯდომარე), ნუგზარ მგალობლიშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ნოდარ წულეისკირი, თედო ნინიძე, ალექსანდრე კავსაძე და მინდია უგრეხელიძე; აირჩიეს სამანდატო კომისიის შემადგენლობა: ბიძინა დანგაძე (თავმჯდომარე), გია ფირცხალაიშვილი, ავთანდილ პოპიაშვილი, დიმიტრი ქებურია, ლია კაცაძე, ანრი ყრუაშვილი, რევაზ კემულარია, სერგი რიგვავა, ბეჟან გონაშვილი, მინდია სალუქვაძე და ტრისტან ხანიაშვილი.

უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა ახლადარჩეული დეპუტატების უფლებამოსილება და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა, რომელმაც განაცხადა, რომ მინისტრთა საბჭო უფლებამოსილებას იხსნის ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს წინაშე. უზენაესმა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლითაც მინისტრთა საბჭოს დაევალა თავისი მოვალეობების შესრულება მინისტრთა ახალი კაბინეტის ჩამოყალიბებამდე.

გაიმართა სესიის 14-15 ნოემბრის სხდომების დღის წესრიგის განხილვა, რის შედეგადაც დღის წესრიგში შეიტანეს შემდეგი საკითხები: 1. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევა; 2. დეკლარაცია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის საპროგრამო განცხადებასთან დაკავშირებით; 3. გარდამავალი პერიოდისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციაში შესაბამის ცვლილებათა შეტანის კანონი; 4. მიმართვა მსოფლიოს ხალხებს; 5. მიმართვა ევროპის უშიშროებისა და თანამშ-



რომლობის თათბირის პარიზის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს; 6. მიმართვა სრულიად საქართველოს; 7. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევა; 8. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის დანესება; 9. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა; 10. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნა; 11. უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები; 12. უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა არჩევა; 13. ადამიანის უფლებათა დაცვა და მართლწესრიგის განმტკიცება; 14. შესაბამისი მუდმივი კომისიების მიერ უპირველესი კანონებისა და დადგენილებების შემუშავება; 15. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პირველი პუნქტის შესაბამისად, დეპუტატმა მუხრან მაჭავარიანმა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე დაასახელა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის ლიდერი – ზვიად გამსახურდია. სხვა კანდიდატურები არ დასახელებულა. **ფარული კენჭისყრის შედეგად ზვიად გამსახურ-**

**დია აირჩიეს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე.** კენჭისყრის პროცესში მონაწილეობდა 238 დეპუტატი, აქედან მომხრე – 232, წინააღმდეგი – 5, თავი შეიკავა – 1.

ზვიად გამსახურდია გამოვიდა საპროგრამო განცხადებით. „როგორც მოგეხსენებათ, ეროვნული ოპოზიცია, მიუხედავად არჩევნებში გამარჯვებისა, ჯერჯერობით არ აცხადებს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დეკლარაციას, რაც განპირობებულია საქართველოში და მსოფლიოში არსებული პოლიტიკური რეალობით, ჩვენ არ გვსურს, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის დეკლარაცია მარტოოდენ ქალაქზე დარჩეს, ჩვენ გვსურს რეალური დამოუკიდებლობა, რასაც სჭირდება საფუძვლიანი შემზადება იურიდიულ-სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით“ – აღნიშნა ზვიად გამსახურდიამ თავის გამოსვლაში.

უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ, შესაბამისი ცვლილებები შეიტანა რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

მიიღეს კანონი საქართველოს სსრ სახელწოდების შეცვლის შესახებ, სახელმწიფოს ეწოდა საქართველოს რესპუბლიკა.

ესიამ გააუქმა საქართველოს სსრ ატრიბუტები და აღადგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიმბოლიკა: სახელმწიფო გერბი, დროშა და რესპუბლიკის ჰიმნი – „დიდება“.

„ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ რომ საქართველო, გახდება რა მსოფლიოს თავისუფალ სახელმწიფოთა ოჯახის წევრი, თავის წვლილს შეიტანს სამართლიანი და ჰარმონიული მსოფლიოს შექმნაში. ამ გზაზე კი სხვა სახელმწიფოთაგან სოლიდარობისა და მხარდაჭერის იმედი აქვს“ – იყო ნათქვამი უზენაესი საბჭოს მიმართვაში მსოფლიო ხალხებისადმი.

„იმედს გამოვთქვამთ, რომ პარიზის კონფერენცია და ჰელსინკის პროცესის მონაწილე ქვეყნები რეალურად შეაფასებენ საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში მიმდინარე მოვლენებს – წარსულში დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა სამართლიან სწრაფვას სახელმწი-



ფოებრიობის აღდგენისაკენ, და ინტეგრაციის ხელოვნური, უსწორო ეტაპებით არ შეაფერხებენ გლობალური ევროინტეგრაციისა და საბოლოო სტაბილიზაციის პროცესს“ – აღნიშნული იყო უზენაესი საბჭოს მიმართავაში ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციისადმი.

„საქართველოს უზენაესი საბჭო მიმართავს ყველას, ვისაც გულწრფელად აფიქრებს სამშობლოს ბედი, დადგეს ეროვნული შერიგების პოზიციაზე. მხოლოდ მტკიცე თანხმობა და ერთიანობა იხსნის საქართველოს, მიგვიყვანს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობამდე. ძმათა შორის შუღლის ჩამოგდება ახლა ღალატის ტოლფასია. ერთიანი საქართველო უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის უპირველესი საზრუნავი“ – ენერა მიმართავაში სრულიად საქართველოსადმი.

სესიას მიმართა ქართველ ოფიცერთა რესპუბლიკური ეროვნული გაერთიანების შტაბის უფროსმა დურუ ჭითანავამ.

სესიაზე სიტყვით გამოვიდა გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორი პაატა ნაცვლიშვილი, რომელმაც დეპუტატებს გააცნო ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის – ალექსანდრე სულხანიშვილის ანდერძი – ქაქუცას დროშა ახლადარჩეულ პარლამენტს მიეღო. პატარებმა: გიორგი გამსახურდიამ და არჩილ მოლოდინაშვილმა დარბაზში შემოაბრძანეს რესპუბლიკისა და ქაქუცას დროშები. აჟღერდა ეროვნული ჰიმნი. სესიის პირველი სხდომა დაიხურა.

---

სალამოს, თბილისში, მთავრობის სასახლის წინ გამართულ მიტინგზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ – ზვიად გამსახურდიამ ხალხს მიმართა: „მეგობრებო, მართალია, პირველი ნაბიჯები გადავდგით, მაგრამ ეს პირველი ნაბიჯები არის დასაწყისი დიდი გზისა, რომელიც წინ უდევს საქართველოს. ამ დიდ გზაზე სვლა ყველა ჩვენგანს გვაკისრებს ერთობას, ხელი-ხელს ჩაკიდებას. მეგობრებო, ახლა დიდი სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, გაერთიანება გვმართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფერს მივაღწევთ. უნდა გავერთიანდეთ, უნდა გაერთიანდეს ყველა ქართველი, განურჩევლად დამნაშავეა თუ არა ის ერის წინაშე, ყველამ უნდა დაივიწყოს ყველაფერი, დღეიდან დაივიწყოთ ახალი ცხოვრება, ახალი გზა, ახალი ბრძოლა. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“.

---

გამოქვეყნდა საქართველოს უზენაესი საბჭოს კომუნისტი დეპუტატების განცხადება, სადაც აღნიშნული იყო: „უზენაესი საბჭოს პირველი სესიის წინ ჩვენ თავს ვალდებულად ვრაცხთ განვაცხადოთ, რომ ვაპირებთ აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ახალი პარლამენტის მუშაობაში, გვსურდა და გვსურს კონსტრუქციული როლი შევასრულოთ მის საქმიანობაში“.



---

საქართველოს კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობის პრეზიდიუმმა და ცენტრალურმა კომიტეტის ბიურომ მიიღეს ერთობლივი განცხადება საქართველოს კომპარტიის ყრილობის მეორე ეტაპის 7 დეკემბერს გამართვის შესახებ.

---

დაიწყო მზადება 1991 წლის აპრილში გასამართი სრულიად საქართველოს დამოუკიდებელი წითელი ჯვრის საზოგადოების მეორე ყრილობისათვის.

---

გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა საქართველოს მწერალთა კავშირის წერილი ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ მიმართ, სადაც მწერალთა კავშირი ულოცავს ბლოკს არჩევნებში გამარჯვებას, იმედს გამოთქვამს, რომ „სანუკვარი ოცნების მიღწევის გზაზე“ მხარში ამოუდგებიან უზენაესი საბჭოს სხვა პარტიებისა და ბლოკების წარმომადგენლები. „ძალიან გვინდა გვჯეროდეს, რომ გამოინახება გზები და საშუალებები უზენაესი საბჭოსა და ეროვნული კონგრესის პოზიციების დასაახლოვებლად, რადგანაც როგორც თქვენ, ისე კონგრესის ლიდერებმაც შესანიშნავად უწყით: როდესაც სამშობლოზე, მის ხსენებაზე, მის ბედსა თუ უბედობაზეა ლაპარაკი, ყოველგვარი პარტიული ინტერესები უკან უნდა დავაყენოთ, ხელები დავიკაპინოთ და ერთად, მხარდამხარ ვაშენოთ თავისუფალი საქართველო“ – ნათქვამი იყო მიმართვაში.

---

თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა კომისია (თავმჯდომარე გ. გვერდნითელი), რომელსაც დაევალა თბილისის ოფიცერთა სახლის შენობაში არსებული მატერიალური ფასეულობების შესწავლა-დადგენა.

თბილისში, ოპერისა და ბალეტის ეროვნულ აკადემიურ თეატრში ტარდება საერთაშორისო სიმპოზიუმი: „საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ახალი ფორმები“, რომელიც გაიხსნა 13 ნოემბერს და გაგრძელდება 16 ნოემბრამდე. სიმპოზიუმს ატარებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საკავშირო აგროსამრეწველო კომპლექსის საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობის ასოციაცია და სხვა დაინტერესებული უწყებები და ორგანიზაციები.

---

გარდაიცვალა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანი, „მრგვალი მაგიდის“ წევრი პოლიო გეგელია.